ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48.482206010**

თარიღი:**01/03/2022**

ქალაქი წყალტუბო, ბესიკის ქუჩა №2-ში მდებარე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ამხანაგობა „ოცნება“-სათვის, მისაკუთვნებელი მიწის ნაკვეთის საზღვრების დამტკიცების შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში შემავალი მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 აგვისტოს №261 დადგენილების მე-3 მუხლის, მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის და „ტერიტორიების გამოყენების და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისი №261 დადგენილების 33-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და შპს „შარმი“-ს მიერ მომზადებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო აზომვითი ნახაზის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაუმტკიცდეს, ქალაქი წყალტუბო, ბესიკის №2-ში, მრავალბინიან საცხოვრებელ სახლს (ამხანაგობა „ოცნება“) მიწის ნაკვეთის საზღვრები, ფართით 1164 კვ.მ.

2. მიწის ნაკვეთი დადგინდეს შემდეგ საზღვრებში: აღმოსავლეთით ესაზღვრება ბესიკის ქუჩა, დასავლეთით სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, ჩრდილოეთით თავისუფალი ადგილი, სამხრეთით ბინასთან მისასვლელი გზა.

3. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გენადი ბალაბჩიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი